ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 20 აგვისტო 2004 №192 (2213) ფასი 50 თეთრი

# კაცთევზას ოქროს ქვირითობა






REUTERS ათინიდან

მაიკლ ფელპსმა გუშინ 200 მეტრი კომპლექსური ცურვა მოიგო და ოლიმპიური ოქრო ჩამოიკიდა. თითქოს უჩვეულოც არაფერი მომხდარა. ოლიმპიადაზე ყოველდღე ათეულობით ქალი თუ ვაჟი ხდება ოლიმპიური ჩემპიონი. მაგრამ ფელპსის ამბავი სწორედაც რომ განსაკუთრებულია, 19 წლის ამერიკელი კაცთევზა ყოველდღე ხდება ჩემპიონი და ექვს დღეში ოთხი ოქრო მოიპოვა. კიდევ ორი ბრინჯაო, აქ მოსატანი არაა. ათენში ჩამოსვლამდე ფელპსი იქადნიდა, 8 ოქროს მოვიპოვებ და ჩემი თანამემამულის მარკ სპიცის რეკორდს დავამხობო, რაც თავისთავად ყოყლოჩინობაში ჩაეთვალა, მაგრამ იგებს კაცი და უძახე რაც გინდა. სპიცს ალბათ ველარ დაეწევა, ის ბრინჯაოიანი დისციპლინები ჩაუვარდა, მაგრამ ვინლა დასძრახავს ბავშვური ქადილისთვის?! ამ ბავშვმა ამერიკას და საკუთარ თავს ოთხი ოქრო მოუტანა და ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

# ახალმა ზელანდიამ ძველი იუგოსლავია 90 დაახრჩო 87

მსოფლიომ არა მხოლოდ ფეხბურთის თამაში ისწავლა. კალათბურთიც აღარაა ზანგების და კიდევ ერთი-ორი ქვეყნის საკუთარი თამაში. სხვებსაც არანაკლებ კარგად გამოსდით ბურთის კალათში სროლა. კი ეუბნებოდნენ მსოფლიოს, ევროპის და მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი იუგოსლავიელები ამერიკელებს, სადაც თქვენი დაიკვეხოთ, ხანდახან ჩვენც არ დაგვივიწყდეთო და ორი წლის წინ მსოფლიო ჩემპიონატზე მათსავე მოედანზე მოუგეს. მაგრამ ამ ორის გარდა სხვებიც არსებობენ და დღეს უკვე თავად იუგთა მემკვიდრე სერბები იჩოქებენ სხვათა წინაშე.

გუშინ სერბეთ-ჩერნიგორიამ, მწვრთნელად ჟელკო ობრადოვიჩი რომ უზის და ლიდერად დეიან ბოდიროგა ჰყავს, ახალ ზელანდიასთან წააგო. წააგო და ცხრილის ფსკერზე დაყვინთა. იქნებ ოლიმპიურ პლეი ოფშიც ვერ მოხვდეს.



REUTERS ათინიდან

# ATHENS 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004 ATHENS 2004

## 17 აგვისტო

### ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

### ძალოსნობა

**კაცები**

**77 კგ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტანერ საგირი (თურქეთი) | 375 კგ |
| 2 | სერგეი ფილიმონოვი (ყაზახეთი) | 372,5 |
| 3 | ოლეგ პერეპეჩენოვი (რუსეთი) | 365 |

**ქალები**

**69 კგ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჩუნჰონ ლიუ (ჩინეთი) | 275კგ |
| 2 | ესტცერ კრუტცელი (უნგრეთი) | 262,5 |
| 3 | ზარენა კასაევა (რუსეთი) | 262,5 |

### მშვილდოსნობა

**კაცები**

**ინდივიდუალური**

1 მარკო გალიაცო (იტალია)
2 ჰიროში იამამოტო (იაპონია)
3 ტიმ კადიჰი (ავსტრალია)

### ფარიკაობა

**კაცები**

**ხმალი. გუნდური**

1 საფრანგეთი
2 იტალია
3 რუსეთი

### ტანვარჯიში

**ქალები**

**ინდივიდუალური**

1 ქერლი პეტერსონი (აშშ)
2 სვეტლანა ხორკინა (რუსეთი)
3 ჟან ნანი (ჩინეთი)

### ცურვა

**კაცები**

**200 მ. კომპლექსური**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მაიკლ ფელპსი (აშშ) | 1.57,14 წთ |
| 2 | რაიან ლოხტე (აშშ) | 1.57,78 |
| 3 | ჯორჯ ბოველი (ტრინიდადი-ტობაგო) | 1.58,80 |

**200 მ. გულაღმა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | აარონ პირსოლი (აშშ) | 1.54,95 წთ |
| 2 | მარკუს როგანი (ავსტრია) | 1.57,35 |
| 3 | რაზვან ფლორია (რუმინეთი) | 1.57,36 |

**ქალები**

**100 მ. თავისუფალი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჯოდი ჰენრი (ავსტრალია) | 53,84 წმ |
| 2 | ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) | 54,16 |
| 3 | ნატალი კოგლინი (აშშ) | 54,40 |

**200 მ. ბრასი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ამანდა ბერდი (აშშ) | 2.23,37 წთ |
| 2 | ლაიზელ ჯონსი (აშშ) | 2.23,60 |
| 3 | ანა პოლესკა (გერმანია) | 2.25,82 |

### ძიუდო

**კაცები**

**100 კგ**

1 იგორ მაკაროვი (ბელარუსი)
2 იან სუნ-ჰო (ს. კორეა)
3 მიხაელ იურაკი (გერმანია)
3 არიელ ზეევი (ისრაელი)

**ქალები**

**78 კგ**

1 ნორიკო ანო (იაპონია)
2 სია ლიუ (ჩინეთი)
3 ლუჩია მორიკო (იტალია)
3 იურისელ ლაბორდე (კუბა)

### სროლა

**კაცები**

**მოძრავი სამიზნე. 10 მეტრი**

1 მანფრედ კურცერი (გერმანია)
2 ალექსანდრ ბლინოვი (რუსეთი)
3 დმიტრი ლიკინი (რუსეთი)

**ქალები**

**სასტენდო სროლა**

1 დიანა იგალი (უნგრეთი)
2 ნინ ვეი (ჩინეთი)
3 ზემფირა მეფტახედინოვა (აზერბაიჯანი)

### ბადმინტონი

**შერეული წყვილები**

1 ჟან ჟუნი - აო ლინი (ჩინეთი)
2 ნათან რობერტსონი - გეილ ემსი (ბრიტანეთი)
3 იენს ერიკსონი - მეტ სოლდაგერი (დანია)

**ქალები**

**ინდივიდუალური**

1 ჟენ ნინი (ჩინეთი)
2 მია ოდინა (ჰოლანდია)
3 ჟუ მი (ჩინეთი)

### მედლების დაფა

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 14 | 11 | 10 | 35 |
| 2 | ჩინეთი | 14 | 9 | 6 | 29 |
| 3 | იაპონია | 9 | 4 | 2 | 15 |
| 4 | ავსტრალია | 7 | 5 | 7 | 19 |
| 5 | უკრაინა | 5 | 1 | 1 | 7 |
| 6 | იტალია | 4 | 5 | 3 | 12 |
| 7 | საფრანგეთი | 4 | 3 | 4 | 11 |
| 8 | გერმანია | 4 | 2 | 7 | 13 |
| 9 | რუსეთი | 3 | 8 | 10 | 21 |
| 10 | თურქეთი | 3 | 0 | 1 | 4 |
| 11 | ს. კორეა | 2 | 6 | 3 | 11 |
| 12 | ჰოლანდია | 2 | 5 | 4 | 11 |
| 13 | უნგრეთი | 2 | 3 | 1 | 6 |
| 14 | რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 15 | საბერძნეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| 16 | პოლონეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 16 | სლოვაკეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 18 | ბელარუსი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 19 | საქართველო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 19 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 21 | ბულგარეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 21 | ტაილანდი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 23 | შვეიცარია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 24 | საამიროები | 1 | 0 | 0 | 1 |
| 25 | დიდი ბრიტანეთი | 0 | 3 | 4 | 7 |
| 26 | ავსტრია | 0 | 3 | 0 | 3 |
| 27 | ჩრდ. კორეა | 0 | 2 | 1 | 3 |
| 28 | კუბა | 0 | 1 | 5 | 6 |
| 29 | ჩეხეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 29 | ზიმბაბვე | 0 | 1 | 1 | 2 |
| 31 | ესპანეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 31 | პორტუგალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 31 | სერბეთ-ჩერნიგორია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 31 | ყაზახეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 31 | ინდონეზია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 31 | ინდოეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 37 | ბრაზილია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 37 | ბელგია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 37 | აზერბაიჯანი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 40 | კანადა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | არგენტინა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | კოლუმბია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | მონღოლეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | დანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | ისრაელი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 1 | 1 |



ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი ქერლი პეტერსონი და მისი რუსი მწვრთნელი ევგენი მარჩენკო

REUTERS




ამანდა ბერდმა წყალში ოქრო იპოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახ, ნეტავი ერთად იყოს ზურაბი და ახმეტა



*ვერ გეტყვით, გუშინწინ საქართველოში რამდენი სადღეგრძელო შეისვა და რამდენი ლიტრი თუ ტონა ღვინო ჩაიცალა, მაგრამ დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, დიდი წილი ახმეტასა და ახმეტელებზე მოვიდოდა. ფერისცვალებისწინა საღამოს თუ სადმე ექეიფებოდა, პირველ რიგში ამ რაიონში*

ჩაცივებული ღვინის სმა კახელებმა ოთხშაბათს დილიდანვე, ზურაბ ზვიადაურის პირველივე გამარჯვებიდან დაიწყეს. გრადუსთან ერთად სიხარულმაც იმატა და დაახლოებით საღამოს შვიდი საათისთვის პიკს მიაღწია. კინოს დარბაზში, დიდ ეკრანზე ზურას ჭიდაობის საცქერად შეკრებილი მისი ახლობლები, მეგობრები, უბრალოდ ქომაგები საქართველოს ჰიმნის ჩამთავრებისთანავე მთელს რაიონს მოედნენ და მოქეიფეებში გაერივნენ. ვინ დუქნებში სწევდა განსხვავებულებს და ვინ გზებზე გადაფენილ სუფრებზე.

„რაც ახლა ახმეტაში ხდება სიტყვით ვერ გადმოგცემთ — გვითხრა ზვიადაურების ოჯახის შექეიფებულმა ახლობელმა თემურ მებალიშვილმა — ქუჩაში ათ მეტრს ვერ გაივლი, გარეთ გამოტანილ მაგიდას რომ არ შეხვდე და ზვიადაურის სადღეგრძელებლად ჭიქა არ მოგაწოდონ. ყველა გახარებულია და ქეიფის მიზეზიც, იცოცხლეთ, მშვენიერია."

მოქეიფეთა შორის მოულოდნელად საქართველოს ნაკრების კანდიდატი გიორგი ყიზილაშვილიც აღმოვაჩინეთ, რომელიც ათენში წასვლამდე ზვიადაურს ფორმის პიკზე ასაღწევად ყველანაირად ეხმარებოდა. ხომ ხედავთ, როგორ მოუხდა ჩემი სპარინგობაო — შემოგვძახა გახარებულმა და მერე 18 აგვისტოს ახმეტური ცხოვრება დაგვიხატა — „ხალხმა დილიდანვე საქეიფო განწყობით გაიღვიძა. ზურას ძალაში აქ ყველა დარწმუნებული იყო და კინოს დარბაზიც გადაიჭედა. ვის არ ნახავდით საგულშემატკივროდ მოსულს, პატარა ბავშვებიდან მოხუც ქალბატონებამდე. ახლა კი, რაც აქ ხდება, სასწაულია. თავი ზღაპარში მგონია."

ყიზილაშვილმა მალე ტელეფონი ოლიმპიური ჩემპიონის პირველ მწვრთნელს, ახმეტის ერთ-ერთ დუქანში მჯდომ გუგული აბრამიშვილს მიუტანა. შეგირდის გამარჯვებით გახარებული აბრამიშვილი თამადობდა და კომენტარს მხოლოდ ახმეტაში ჩვენი ჩასვლის შემთხვევაში დაგვპირდა. ბოლოს მაინც დავითანხმეთ:

„ოქროს მედალში საბოლოოდ მაშინ დავრწმუნდი, ზვიადაური ფინალში რომ გავიდა. მისი სავარაუდო მეტოქეები, იაპონელი და კორეელი ძიუდოისტები ნაღდად არ იყვნენ მისი მომგებები. მათი სტილი შემტევი ჭიდაობაა, ზვიადაურთან შეტევაზე წასვლა კი ნებისმიერისთვის დამღუპველია. ყველაზე მეტად ბრიტანელი გორდონის მეშინოდა. 1998 წელს ახალგაზრდებშიც ეჭიდავა და მაშინვე უხერხულ მეტოქედ მეჩვენა. დღესაც გვარიანად მანერვიულა. ჭიდაობებს სახლში ვუყურე ახმეტური ძიუდოს მომავალ თაობასთან და ჭიდაობაში მოტრიალე ხალხთან ერთად. ახლაც მათ გვერდით ვარ, ოღონდ სუფრასთან. მინდა მთელ საქართველოს მივულოცო ეს ოქრო, რომელიც ზურაბ ზვიადურის ტალანტმა და წმინდა სალოცავებმა მოგვაპოვებინა."



ლამაზი გდებები ზურაბ ზვიადაურმა ათენშიც გვაჩვენა

ახმეტელებს ჩემპიონისთვის ტელეფონით მილოცვა გვიან ღამემდე ვერაფრით მოეხერხებინათ, აბრამიშვილმა კი აქეთ დაგვამშვიდა, სულაც რომ ვერ დავურეკოთ, არც გვეჩქარება, კახელები დინჯი ხალხი ვართ, თბილისში ჩამოვალთ და აეროპორტში მივულოცავთო.

თბილისში უყურა ზვიადაურის გაჩემპიონებას კიდევ ერთმა ახმეტელმა ფალავანმა ლექსო დავითაშვილმა. მერე კი ქალაქში მყოფი სპორტსმენები მოკრიბა და ისე მოულხინა, როგორც ყველა ახმეტელმა. აქაოდა, ჯერ აქედან დავლოცავ, ხოლო კახეთში რამდენიმე დღეში, მასთან ერთად ჩავალო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# პირველი ოქრო ლუკაშენკოს

## ივერი ვერ გაბრწყინდა



REUTERS ათენიდან

იაპონელი ინოე პირველად ჰოლანდიელმა გესტმა დასცა



ძიუდოისტთა შეჯიბრის დასრულებამდე ერთი დღით ადრე ხალიჩაზე 100-კილოგრამიანი სპორტსმენები გავიდნენ. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ წევრ ივერი ჯიქურაულს საკმაოდ რთული ბადე შეხვდა. მის თექვსმეტეულში მოხვდნენ ოქროს უმთავრესი ფავორიტები — ჰოლანდიელი ელკო ვან დერ გესტი, უნგრელი ანტალ კოვაჩი, აზერბაიჯანელი მოვლუდ მირალიევი და ყველაზე მთავარი, იაპონელი კოსეი ინოე. თუმც კენჭისყრამ ქართველს ყველა მათგანი ნახევარფინალამდე აარიდა, იქ კი ივერის წინაალმდეგ საუკეთესო იჭიდავებდა.

ნახევარფინალის იმედი ჯიქურაულის პირველმა შეხვედრებმა გაზარდა. დუშელმა ფალავანმა ჯერ მონღოლი ბაჯარღალ ოდხუ გააკრა ხალიჩას, ხოლო შემდეგ ალჟირელი სემი ბელგრუნი, თან ისე, რომ ორივეს ერთად ოთხი წუთიც არ დაახარჯა, მაგრამ მეოთხედფინალში ბელარუს იგორ მაკარაუსთან ველარაფერი გააწყო. პირველსავე წამებზე გაპარული იუკოს გაქვითვას ამაოდ ეცადა.

ნუგეშად ბრინჯაოლა დაგვრჩა, რომლისთვისაც ჯიქურაულს სამი მოგება სჭირდებოდა, მაგრამ მედალზე ოცნება პირველივე რეპეშაჟულ ბრძოლაში დასრულდა. ყაზახმა ასხატ ჟიტკეივმა მოულოდნელად წამებში იმარჯვა.

ნახევარფინალში მაკარაუს ვან დერ გესტი დაუპირისპირდა. მანამდე მან იპონით მოუგო ინოეს და ბელარუსთანაც ფავორიტად გავიდა, მაგრამ მაკარაუ მასაც მომგებიანი იუკოთი გაუმასპინძლდა.

მეორე თექვსმეტეულში გამოსარჩევნი ებრაელი არიელ ზეევი და კორეელი სუნგ ჰო იანგი იყვნენ და ალბათ ნახევარფინალამდეც ორივე მივიდოდა, მანამდე ერთმანეთს რომ არ გადაჰყროდნენ. დაძაბული შეხვედრა ოთხ წუთში ზეევის დაიპონებით დასრულდა, არადა, მანამდე ვაზარს და იუკოს იგებდა. ზორბა კორეელი მერე გერმანელ მიხაელ იურაკს გაუსწორდა იოლად და ფინალი წუთნახევარში გაინაღდა, ხოლო ზეევმა რეპეშაჟში იხეირა და ბრინჯაოთი ბავშვივით გაიხარა.

ათენში ოქროსთვის ჩასულმა ინოემ კი, როგორც ჩანს, ნაადრევი მარცხი ისე განიცადა, დამამშვიდებელ ეტაპზე ჭიდაობის ხალისიც დაკარგა. ტატამზე კი გავიდა, მაგრამ მირალიევიც იპონით გაუსწორდა. კვარცხლბეკზე ვერც წლევანდელი თბილისის ტურნირის მომგები აზერბაიჯანელი ავიდა. გადამწყვეტი დაჭიდება გერმანელ იურაკთან წააგო.

იგორ მაკარაუ სხვათაგან გამორჩეულმა ტაქტიკამ მაქსიმალურად შებოჭილმა და არცთუ სანახაობრივმა ჭიდაობამ ფინალშიც ახეირა. სუნგ ჰო იანგსაც ქულებით სძლია და ბელარუსის ყულაბაში პირველი ოქრო ჩააგდო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



დღეს ჩვენი ბოლო ძიუდოისტი ლაშა გუჯეჯიანი ჭიდაობს

# შეუპოვარი უპოვარი მაორებმა სერბები შეჭამეს



ახალმა ზელანდიამ სერბეთ-ჩერნოგორიას მეოთხედფინალი ლანდად უქცია

REUTERS ათენიდან



III ტური

A ჯგუფი

**ახ. ზელანდია 90:87 სერბეთი**

**ახალი ზელანდია:** პენი (15), ჯონსი (14), კემერონი (14), ბუქი (13), დიკელი (12), მარქსი (10)

**სერბეთი:** ბოდიროგა (25), ვუიანიჩი (21), რაკოჩევიჩი (11)

**ესპანეთი 71:63 იტალია**

**ესპანეთი:** გარბახოსა (17), გასოლი (16)

**იტალია:** რინეტი (18), ბაზილე (15), ბულერი (12)

**არგენტინა 82:57 ჩინეთი**

**არგენტინა:** ნოჩიონი (17), სკოლა (15), ჯინობილი (14)

**ჩინეთი:** მინგი (15), ლიუ (10)

| | | |
|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 0 |
| არგენტინა | 2 | 1 |
| იტალია | 1 | 2 |
| ახალი ზელანდია | 1 | 2 |
| სერბეთი | 1 | 2 |
| ჩინეთი | 1 | 2 |

B ჯგუფი

**აშშ 89:79 ავსტრალია**

**აშშ:** დანკანი (18 ქულა, 11 მოხსნა), აივერსონი (16), მარიონი (16), ვეიდი (12)

**ავსტრალია:** ჰელი (17), ნილსენი (12), ბოგუ (11)

**პუერტო რიკო 83:80 ანგოლა**

**პუერტო რიკო:** აიუსო (17), აროიო (16), სანტიაგო (16 ქულა, 10 მოხსნა), კასიანო (15)

**ანგოლა:** კარვალიო (14), მოუსა (11), ლუტონდა (11), ვიქტორიანო (10)

**ლიტვა 98:76 საბერძნეთი**

**ლიტვა:** შიშკაუსკასი (25), შტომბერგასი (22), სონგაილა (13), იავტოკასი (11)

**საბერძნეთი:** ზისისი (18), პაპადოპულოსი (13)

| | | |
|---|---|---|
| ლიტვა | 3 | 0 |
| აშშ | 2 | 1 |
| პუერტო რიკო | 2 | 1 |
| საბერძნეთი | 1 | 2 |
| ავსტრალია | 1 | 2 |
| ანგოლა | 0 | 3 |

პუერტო რიკოსთან საწყისი მარცხის შემდეგ ამერიკამ ზედიზედ მეორე თამაში მოიგო და თავს ამოსუნთქვის უფლება მისცა. საბერძნეთს და ავსტრალიას კალათბურთში თავიანთი სიტყვა კი ეთქმით, მაგრამ არც ისე ომახიანი, მათი ძლევის შემდეგ ამერიკელებს თავი ქუდში ეგონოთ და კვლავ მსოფლიოში უპირობო პირველობაზე ილაპარაკონ. მაგრამ ამოსუნთქვა კი შეიძლება. ყოველ შემთხვევაში მეოთხედფინალში მაინც ხომ გავლენ (ანგოლასაც თუ ვერ მოუგეს და...).

ბოლო სამი ოლიმპიადის ჩემპიონები ავსტრალიამაც გვარიანად გააწვალა. სახელების ალარავის ეშინია, მით უმეტეს, რომ „ოცნების გუნდად" დანათლულ ამერიკელებს პირველი და ნაღდი ოლიმპიური „ოცნების გუნდისა" არაფერი სცხიათ და არც მქუხარე სახელის ბიჭები მოეძევებათ ბევრი. ლებრონ ჯეიმსი და ამარე სტუდემაიერი თუ შეგაშინებს, რაღა გინდა ოლიმპიადაზე? შიში რა მოსატანია და, ავსტრალიელებიც ყოველგვარი კრძალვის გარეშე პირველივე წუთიდან თავს დაესხნენ ობიექტურად ძლიერ, მაგრამ საკუთარ თავში დაურწმუნებელ მეტოქეს და პირველ მეოთხედში 10 ქულა აართვეს — 31:21. ამერიკელები ბევრს ცდილობდნენ — რატომ დავუკარგოთ — რაღაც გამოსდიოდათ კიდეც, მაგრამ არც იმდენად უნაკლოდ, რომ ოზები თავიდანვე გაესრისათ. ატლანტის და სიდნეის ოლიმპიადების ნახევარფინალისტი ავსტრალიელები ბოლო მეოთხედამდე ყოჩაღად იდგნენ დაცვაში და შეტევაშიც მარჯვობდნენ. მეორე ნახევარში წამოწეულ მეტოქეს ბოლო მეოთხედამდე არ ასვენებდნენ და ბოლოსღა დაუთმეს სადავე.

ამერიკელთა თავკაცი ლარი ბრაუნი გამოცდილი და ცოტა ფრთხილი კაცია და ახალგაზრდა შეგირდებს — ასეთი კი მრავლად ჰყავს — ნაკლებად ანდობდა ამერიკის შელახული ღირსების დაცვას, მაგრამ ამ მატჩში როგორღაც დიდი ხნით დატოვა ჭაბუკები მოედანზე და ამათმაც გაუმართლეს. იმავ ლებრონ ჯეიმსმა, შონ მარიონმა და დუეინ ვეიდმა ბოლო მეოთხედის მოკლე მონაკვეთი 10:0 მოაგებინეს თავისიანებს და ყველაფერიც აქ გადაწყდა.

„ამ პატარა ბიჭმა (ლებრონ ჯეიმსმა) და დუეინ ვეიდმა ბურთის გათამაშება იწყეს და უცებ ყველაფერი დალაგდა, გუნდი უკეთ ათამაშდა — ამბობდა ბრაუნი ნამატჩევს— ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვყავს და არ ვსაუბრობთ მაიკლ ჯორდანზე, ლარი ბერდსა და მეჯიქ ჯონსონზე, ამ ბიჭებს ბევრი აქვთ დასახვეწი, მაგრამ ჩვენ მოვინიშნავთ იმას, რომ მათ მართლაც შეუძლიათ გუნდის გამოცოცხლება."

საინტერესოა, ხვალ როგორ გაუმკლავდება დუეინ ვეიდი ლიტველთა ეშმაკ ლიდერ შარუნას იასიკევიჩუსს. წესით, ამერიკელებს ეს ჯეელი კარგად უნდა ახსოვდეთ: 2000 წელს სიდნეიში, ნახევარფინალში იასიკევიჩუსმა 27 ქულა ჩაუგდო ჯეიმსისა და ვეიდის წინამორბედებს და ბოლო წამზე სამქულიანი ოდნავ ზუსტად რომ ესროლა, შესაძლოა, ამერიკელები ათენში ოლიმპიური ჩემპიონების სტატუსით არ ჩამოსულიყვნენ.

ლიტვა კერკეტი მეტოქეა და მასთან შეჯახებას ბევრი დიდი ნაკრები არ ისურვებდა, მაგრამ ამერიკელებს მაინც გაუმართლათ და შედარებით იოლ ჯგუფში მოხვდნენ. მეორე, A ჯგუფში ისეთი ამბები ხდება, დედა შვილს არ აიყვანს. ექვსი გუნდიდან ოთხს ამ ორ წელიწადში დამარცხებული ჰყავს ნბა-ელები და არც დარჩენილი ორია ჩამოსაწერი. ყველაზე უკბილო გუნდად ჩინეთი მიიჩნეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იაო მინგის 39 ქულით მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი ახალი ზელანდია დასცა, ყველამ შეიცვალა ამ გუნდზე წარმოდგენა. არც ახალი ზელანდია გამოდგა საკრივო მსხალი, ორი მარცხის შემდეგ „მაორებმა" მაინც მოინადირეს ნადავლი — შუბზე თვით მსოფლიოს ჩემპიონი სერბები წამოაგეს. დღის სენსაციაც ეს გახლავთ.

ამ თამაშის შემდეგ სერბთა პროფესორი ლიდერი დეიან ბოდიროგა დაიჩივლებს — დღეს ორი თამაში გვქონდაო. ოლიმპიადის მასპინძელ ბერძნებს ყველაფერი არცთუ იდეალურად აქვთ ორგანიზებული, თუმც სერბი ახლა კალენდრის გამო არ გამოთქვამდა უკმაყოფილებას. ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია, გუნდები დღეგამოშვებით თამაშობენ და გადაღლა არაფერ შუაშია. ბოდიროგას სხვა რამ ჰქონდა მხედველობაში — „პირველ თამაშში, რომელიც 35 წუთი გაგრძელდა, ჩვენ სრულად ვაკონტროლებდით სიტუაციას და 13 ქულით ვიყავით წინ. შემდეგ დაიწყო მეორე თამაში, რომელშიც ჩვენ მეტოქეს ორი სამქულიანის ჩაგდების და გამოცოცხლების უფლება მივეცით."

სერბები პირველი ტაიმის შემდეგ იოლად აკონტროლებდნენ შეხვედრას და დამაჯერებლად ლიდერობდნენ. ეტყობა, ამის გამოც მოეშვნენ, მატჩის დამთავრებამდე ხუთნახევარი წუთით ადრე 13-ქულიანი უპირატესობა ამის საკმარისი მიზეზი გამოდგა. ახალი ზელანდიაც უცებ აფეთქდა. მარკ დიკელმა, შონ მარქსმა და კირკ პენიმ 3-წუთიანი მონაკვეთი 11:0 მოუგეს სერბებს და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს — 77:79. კიდევ ერთ წუთში ანგარიში გათანაბრდა 81:81. დეიან ბოდიროგას ცხოვრებაში იმდენი მკვლელი ბურთი ჩაუგდია, საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე მისგან გასროლილი სამქულიანი არავისთვის იყო მოულოდნელი. მაგრამ 20-იოდ წამში ახალზელანდიელთა ჯირკივით კაპიტანმა პერო კემერონმა სამიანითვე რომ უპასუხა, ეს კი ნამდვილად არ ეამათ მსოფლიოს ჩემპიონებს. სერბებმა მაინც მოახერხეს 87:84 დაწინაურება, ამჯერად შორიდან მილოშ ვუიანიჩმა იმარჯვა, მაგრამ არც აქ დასრულდა ყველაფერი. დარჩენილ 40 წამში ახალმა ზელანდიამ ექვსი უპასუხო ქულა და სამ თამაშში მეორე მარცხი უთავაზა ევროპელებს.

ამ მარცხით სერბები ჯგუფის ფსკერზე დაეშვნენ და თან ყველაფერი აქ არ მთავრდება. მათ ჯერ კიდევ სათამაშო აქვთ ესპანელებთან და იტალიელებთან.

გუშინვე შეიბნენ იტალია და ესპანეთი, ამ უკანასკნელმა იმარჯვა და ჯგუფში ლიდერობა შეინარჩუნა. იტალიური სამქულიანების მანქანა თავიდანვე მარჯვედ ამუშავდა და ესპანეთი პირველ ტაიმში 10 ქულით ჩამორჩა, მაგრამ საბოლოოდ დიდმა კაცებმა იმარჯვეს — 211-სანტიმეტრიანმა პაუ გასოლმა და 206-სანტიმეტრიანმა ხორხე გარბახოსამ თავისიანთა 71 ქულიდან 33 თავიანთ ანგარიშზე ჩაიწერეს და პრაქტიკულად სამი თამაშით ადრე დაიგულეს თავი მეოთხედფინალში.

**კოტე ყორშია**

ჩოგბურთი



ენდი როდიკი შინ უცერემონიოდ გაისტუმრეს

# იანკიზ, გოუ ჰოუმ!
## მასუ ოლიმპზე ასულა

— 18 აგვისტო —

ათენურ საჩოგნეთში ამერიკელებმა იმ დღეს ერთბაშად სამი პოტენციური მეოქროვე დაკარგეს — ჩოგნების დაშალითება ბითუმად მოუხდათ წინა ოლიმპიადის ქალჩემპიონ ვინუს უილიამსს, როჯერ ფედერერის გავარდნის შემდეგ მთავარფავორიტად შთენილ ენდი როდიკსა და ტყუპი ბრაიანების პირველ ნომრად განთესილ წყვილს.

ენდიბოის სრულიად მოულოდნელად 6:4, 6:4 აჯობა ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა, ვინაც მერე თვისტომ ნიკოლას მასუსთან შეწყვილებულმა ბობ და მაიკ ბრაიანებიც დაიმორჩილა 7:5, 6:4. ამგვარად, ღონიერი ჩილელი, აქამდე დიდი მუზარადის მეოთხედფინალში ერთხელაც რომ არ გასულა, ახლა ერთბაშად ორი ოლიმპიური ოქროსკენ მიილტვის.

როდიკთან მოგებული მატჩის შემდეგ, რომლის დროსაც მან მეტოქის 6 შედეგიანი დარტყმის წილ 23 მოაქუჩა, გონსალესი — ეჭვი არაა, ეს ჩემი კარიერის ერთი საუკეთესო მატჩიაო — იძახდა. ენდიბოი კი, ვინაც იმ დღეს ისევე არ ჰგავდა თავის თავს, როგორც დღით ადრე — როჯერ ფედერერი, მძლეველის წინაშე ქედს იხრიდა და დასძენდა — ერთი ეგ ტეხავს, ამ მარცხის გამოსწორებას გაისადვე რომ ვერ შევძლებო.

რაც შეეხება ვინუსს, მას წითელი შუქი ვეტერანმა ფრანგმა მარი პირსმა აუნთო 6:4, 6:4. ხოლო, რაკი მის პარალელურად ჩანდა რუბინი და ლიზა რეიმონდიც გააბუნძულეს, 1988 წლიდან ანუ მას შემდეგ რაც ჩოგბურთი ოლიმპიურ თამაშებს მოუბრუნდა, ეს პირველად მოხდა, ქალთა საერთეულო მეოთხედფინალებში ერთმა ამერიკელმაც რომ ვერ გააღწია.

ვინუსის არყოფნაში კი ერთმანეთს ჟუსტინ ენენ-არდენი და ამელი მორესმო დასჭამენ. ისინი ახლა მართლაც კარგ ფორმაში არიან და მორესმომ რუბინს 6:3, 6:1 რომ აჯობა, ჟუსტინმა სულაც 45 წუთში 6:1, 6:0 გადაურბინა ავსტრალიელ ნიკოლ პრატს.

რაგინდ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ამერიკული ჩოგბურთის ლამის ერთადერთ იმედად ათენში 47 წლის მარტინა ნავრატილოვა რჩება. ეგეც მხოლოდ იმიტომ, რომ ის და ლიზა რეიმონდი ამელი მორესმომა და მარი პირსმა უბრძოლველად გაატარეს — ამელი რუბინთან თამაშის შემდეგ უეცრად კანის ალერგიას შეუწუხებია და ამის გამო საწყვილაოდ გასვლა ვეღარ შეძლო.

— 19 აგვისტო —

მეოთხედფინალი

კაცები

ფერნანდო გონსალესი (16, ჩილე) — სებასტიან გროჟანი (8, საფრანგეთი) 6:2, 2:6, 6:4; ტაილორ დენტი (აშშ) — ტომას ბერდიჩი (ჩეხეთი) 6:4, 6:1; ნიკოლას მასუ (10, ჩილე) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:2, 7:5; მერდი ფიში (აშშ) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3, 6:4

ქალები

ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (11, იტალია) 6:1, 6:2; ალიშა მოლიკი (ავსტრალია) — აი სუგიამა (8, იაპონია) 6:3, 6:4; ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 7:6 (7:5), 4:6, 6:2; ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:4, 6:4



ნიკოლას მასუ კორტზე ასე ბედნიერი არასდროს ყოფილა

წყალბურთი

# ჩვენ ჰოკეი არ გვჭირდება

**საწყალბურთო** ტურნირზე ყველაზე დიდი ყურადღება ჯერჯერობით ამერიკელთა ნაკრებს და მის ლეგენდარულ იუგ მწვრთნელ რატკო რუდიჩს ექცევა. რუდიჩის ბიჭებმა პირველ ტურში ხორვატთა 7:6 ძლევის შემდეგ მეორეში 9:6 მოუგეს ყაზახებს, მაგრამ ამ ორი შეხვედრის შემდეგ ამერიკელთა 13-კაცა გუნდში ძალიან ბევრი დაშავებული დაგროვდა. რუდიჩი თვლის, რომ ამაში დამნაშავე მსაჯთა გადაჭარბებული შემწყნარებლობაა.

„ვერ ვიგონებ, წყალბურთი როდესმე ასეთი უხეში ყოფილიყოს“ — ამბობს იგი. არადა მოსაგონარი მას მართლაც ბევრი აქვს — როგორც იუგოსლავიის ნაკრების მოთამაშეს რუდიჩს ოლიმპიური ოქრო თავადაც მოუგია, ხოლო მოგვიანებით იგივე მწვრთნელის რანგში კიდევ სამჯერ გაიმეორა.

მისი აზრით, ის, რასაც ამ დღეებში ათენის საწყლოსნო ცენტრში თამაშობენ, წყალბურთზე მეტად ჰოკეის უფრო ჰგავს.

„ცხადია, წყალბურთს, როგორც ძალისმიერ თამაშს, ტრავმები ყოველთვის თან ახლავს, მაგრამ ისეც არ უნდა ხდებოდეს, რომ, ვთქვათ, ყაზახეთთან თამაშში ერთბაშად სამი მოთამაშე დაგემტვრეს. როცა ზოგიერთ გუნდს თამაში არ მისდის, დაუფარავ უხეშობას მიმართავს და მსაჯებმა თუ არ დაგვიცვეს, მაშინ წყალში ჩასაშვები ალარავინ დაგვრჩება.“

იმას, რომ გადაჭარბებულ ძალადობას მსაჯები ხშირად მართლაც შეუმჩნევლად სტოვებენ, რუდიჩის გარდა სხვა მწვრთნელებიც აღიარებენ, თუმცა მასსავით ხმის ამაღლება ჯერ ვერავინ გაბედა.

სხვათა შორის, ნაწილობრივ სწორედ მსაჯთა მიერ სერბ-ჩერნიგორიელი მცველების მეტისმეტად უხეში თამაშის დაუნახაობის ბრალი იყო ისიც, რომ რუსთა ქართველმა ცენტრმა რევაზ ჩომახიძემ იმ დღეს მხოლოდ ერთი გოლი შეაგდო.

ლევან ძელაურაძე



REUTERS

ავსტრალიელი სემ მაკგრეგორი ესპანელ ივან პერესს ძირავს

— 19 აგვისტო —

III ტური

| A ჯგუფი | | | | | B ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი 7:5 აშშ | | | | | ესპანეთი 8:4 ავსტრალია | | | | |
| სერბეთი 9:5 ყაზახეთი | | | | | იტალია 10:5 გერმანია | | | | |
| რუსეთი 9:8 ხორვატია | | | | | საბერძნეთი 15:4 ეგვიპტე | | | | |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 6 | იტალია | 2 | 0 | 1 | 4 |
| სერბეთი | 2 | 0 | 1 | 4 | გერმანია | 2 | 0 | 1 | 4 |
| აშშ | 2 | 0 | 1 | 4 | ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 4 |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 4 | საბერძნეთი | 2 | 0 | 1 | 4 |
| ხორვატია | 0 | 0 | 3 | 0 | ავსტრალია | 1 | 0 | 2 | 2 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 3 | 0 | ეგვიპტე | 0 | 0 | 3 | 0 |

ძიუდო

# НЕТ ДЫМА БЕЗ ОГНЯ
## ნოსოვი გვერდზე გაიყვანეს

რუსი ძიუდოისტი დიმიტრი ნოხოვი აღშფოთებულია. საქმე ისაა, რომ ზოგიერთმა რუსულმა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა ცნობა, თითქოს ბრძოლის წინ, რომელშიც ნოსოვმა ბრინჯაო მოიპოვა, მან დოპინგი მიიღო. ჟურნალისტები ამით ხსნიდნენ მის თხუთმეტწუთიან გაუჩინარებას ორთაბრძოლის დაწყების წინ.

„მე ყველაფერი შევწირე ამ გამარჯვებას და საწყენია, ჩვენს ჟურნალისტებს სპორტსმენებისა არ სწამთ“ — აცხადებს განაწყენებული რუსი. მისი თქმით, 10 წუთში ნოვოკაინი თუ შეძლებს რაიმე გავლენის მოხდენას, თორე სხვა ვერაფერიო.

იქნებ რუსი უბრალოც იყოს ამ ამბავში, მაგრამ თავად რუსული ანდაზა რომ გავიხსენოთ, „Нет дыма без огня“.

ლადო წულუკიძე


სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

12-დან 30 აგვისტომდე ათენში იმუშავებს საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.

*ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ:*
*(30) 697 906 1285*
*(30) 697 906 1103*

# ობიექტი





მილიარდნახევარი არაფერ შუაშია. აი, რატომ ხვეტავენ ჩინელები ოქროს მედლებს




ჰა, ტუტუც, ნიახური ხომ არა ხარ...



ოღონდ აქედან გაგვაღწევინა...




გაუძელი, ბიცოლ!

სროლა

# ნინო სალუქვაძე მეხუთე ოლიმპიადიდან მერვე ადგილით მოდის

**შეჩერდი, წამო,** შენ მშვენიერი ხარ... ეს ის მომენტია, როდესაც ემოციებს ვერ ერევი და არც გინდა, მოერიო... როგორი საქმეა, ახმეტელი ვაჟკაცის არნახული ტრიუმფიდან უცებ ქართველების წაგებაზე დასაწერად მოაბრუნო კალამი... გუშინწინ ხომ ზურაბ ზვიადაურის ზეიმის — მთლიანად საქართველოს ზეიმის დღე იყო!

სასროლეთზე გუშინწინ ქალთა შორის სპორტული პისტოლეტით 25 მეტრზე სროლაში გათამაშდა მედლები. ჩვენ ნინო სალუქვაძის მიზანისა გვეიმედებოდა. ჯერ იყო საკვალიფიკაციო წრე, რომელმაც ფინალში გასული 8 საუკეთესო გაარკვია. ნინოს პნევმატურზე მეტად სპორტული იარაღი ემარჯვება და სწორედაც რომ მე-8 შედეგით (580 ქულა) გააღწია ფინალში, მაგრამ...

გადამწყვეტი სროლების წინ სალუქვაძე 8 ქულით ჩამორჩებოდა აზერბაიჯანელ ლიდერს ირადა აშუმოვას. მთლად ოქროსი თუ არა, ვერცხლ-ბრინჯაოს მკრთალი შანსი მაინც რჩებოდა. მაგრამ ნინომ ფინალშიც სხვებზე უზუსტოდ ისროლა, „მორცხვ“ 98,3 ქულას გაარტყა და საერთო მაჩვენებელმა (678,3) ისევ მე-8 ადგილზე დატოვა. ოქროს მედალი კი ზედიზედ მეორედ მოიგო ბულგარელმა ბანოვანმა მარია გროზდევამ (688,2), რომელსაც კვარცხლბეკისკენ ჩეხი ლენკა ჰიკოვა (687,8) და აშუმოვა (6687,3) მიჰყვნენ.

ნინო სალუქვაძე თავის რიგით მეხუთე ოლიმპიადას უმედლოდ დაემშვიდობა. ეგ არის, ნინომ სიდნეური შედეგი (პნევმატური პისტოლეტით 25-ე ადგილი, სპორტულით — მე-11) გააუმჯობესა.

**ილია ნანობაშვილი**

მძლეოსნობა

# ექვსი მეტრი ოქრომდე

**გუშინწინვე,** კიდევ ერთ ქართველ ქალს — მძლეოსან მარიამ ქევხიშვილს მოეცარა ხელი. მარიამმა ბირთვის კვრაში პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან A ჯგუფში დაიგულა თავი, თუმც მეორე საკვალიფიკაციოს ველარ გასცდა.

ქევხიშვილს სამი ცდა ჰქონდა და აქედან ყველაზე შორს 15,06 მეტრზე ჰკრა ბირთვი, რაც ეს მხოლოდ მე-17 ადგილისთვის ამოჩნდა საკმარისი. ფინალურ ეტაპზე კი 12 საუკეთესო გავიდა, სადაც რუსი ირინა კერნოზენკოს ნატყორცნი ბირთვი 21,06 მეტრის სიშორეზე დაეცა. რუსმა ოქროს გამოჰკრა ხელი, ხოლო ვერცხლ-ბრინჯაოს კუბელი იუმილეიდი კუმბა (19,59მ) და გერმანელი ნადინ კლაინერი (19,55მ) დაეუფლნენ.

მარიამ ქევხიშვილისგან სასწაულებს არც არავინ ელოდა და კაცმა რომ თქვას, A ჯგუფში მოხვედრა უკვე აქტივში უნდა ჩავუწეროთ. ახლა სამხტომელი იულია დუბინასა და თარჯმრბენი (110 მეტრი) დავით ილარიანის ჯერია...

**ილია ნანობაშვილი**



მარიამ ქევხიშვილმა ბირთვი 15 მეტრზე ჰკრა

წყალბურთი

*12-22 სექტემბერს, მალტაზე 19 წლამდე ჭაბუკ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება. 16 რჩეულ ნაკრებს შორისაა საქართველოც, რომელიც ზედიზედ მესამედ გაერია გრანდჭაბუკთა მარაქაში. ჩვენმა ბიჭებმა მალტის საგზური მაისში გამართულ ევროშესარჩევში მოიპოვეს, როდესაც ბულგარულ აუზში ოთხიდან ოთხი შეხვედრა მოიგეს. ამას მოჰყვა პოლონეთის „პრეზიდენტის თასზე“ გამარჯვება, ხოლო ორიოდე კვირის წინ თურქეთის ზემძლავრ საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი. პრინციპში, თურქეთში 17-წლამდელებმა იჩაუქეს, რომლებსაც მალტაში რამდენიმე ლიდერი დაემატებათ.*

*... თუმცა, ეროვნული ნაკრების გარდა ქართულ წყალბურთს ბუნდოვანი მომავალი უჩანს და, თუ რომელიმე ბურთაობის სახეობაში ქართველებს ოლიმპიადაზე გასვლის პერსპექტივა გვაქვს, ერთ-ერთი წყალბურთია — ახალი თაობის ბირთვი, პლუს რამდენიმე ლეგიონერი და ბევრ ძლიერ ევროპულ ნაკრებს თვალს დავუყენებდით. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ სოსო მაისურაძეს ამ თემაზეც გავესაუბრეთ, თუმც სამალტო სამზადისით დავიწყოთ...*

# აწმყოში თუ გვიწყალობეს, მომავალი ჩვენი იქნება

— თურქეთის საერთაშორისო ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო იყო, რაშიც კი ბოლო წლებში გამოვსულვართ. ეს იყო საჯილდაო ქვა 1987 წელს დაბადებული ჭაბუკებისთვის, რომლებიც გაისად ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატზე. დავინახე ჩემი გუნდის უდიდესი პოტენციალი. იცით, ჭაბუკთა შორის აშკარად გამორჩეულია 6 ნაკრები და ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია მათთან გატოლება. ეს მარტო ჩემი სიტყვები არ არის — იგივე გვითხრეს თურქეთში მატჩების კომისრებმა, მატოშიჩმა და კრამერმა.

**— რაში ხედავთ მთავარ პრობლემას, რომელიც გრანდებთან მიახლოებაში ხელს გიშლით?**

— ახალი რა გითხრათ, ისევ და ისევ სავარჯიშო პირობების არქონასა და ტესტ-მატჩების ნაკლებობას განვიცდით. ჩვენი მეტოქეები წელიწადში 100-200 საკონტროლო შეხვედრას მართავენ, ხოლო ჩვენ წლეულს სულ 30 სპარინგი დაგვიგროვდა. ამას გარდა, იგივე თურქული ტურნირის შემაჯამებელი მიმოხილვისას ორგანიზატორებმა პატარ-პატარა შენიშვნები მოგვცეს...

**— ხომ ვერ დააკონკრეტებდით?**

— ზედმეტად ემოციურები ხართო. სამართლიანად თუ უსამართლოდ, ხშირად გვიძევებენ მოთამაშეს და ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ. რუმინეთთან ბოლო ტაიმი კაცნაკლულებმა ვითამაშეთ, მაგრამ გოლის გატანა მაინც შევძელით, რაც ბიჭების დიდ სულიერ განწყობაზე მიუთითებს.

**— სპარინგ-მატჩების ნაკლებობა ახსენეთ, მაგრამ შარშანდელივით აღარ უნდა გიჭირდეთ. ამჯერად ხომ ფინანსური დახმარება გაქვთ...**

— რა თქმა უნდა, შედარებაც არ შეიძლება. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი თბილისის მერიის სპორტისა და კულტურის სამსახურს, რომელთა მეშვეობით საზღვარგარეთულ ტურნირებსა თუ ჩემპიონატებზე წასვლის პრობლემა მოგვეხსნა. დავით ოქიტაშვილსა და გია უდესიანს ჩვენი გასაჭირი გულთან მიაქვთ, რაც შედეგებშიც აისახა.

**— ევროპის ჩემპიონატამდე ხომ არ გეგმავთ ვინმესთან თამაშს?**

— სამწუხაროდ, არ ხერხდება. ჩვენ მოწვეული გვყავდა უკრაინის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „მარიუპოლი“ თუმც მასპინძლობის ხარჯი არ აღმოგვაჩნდა და ეს სპარინგი ჩაიშალა. მარიუპოლელებს უფროსების გუნდი ჩამოჰყავდათ, თორემ ჭაბუკებთან გაჯიბრებას აზრი არ ექნებოდა — ჩვენი ბიჭები უკრაინელ თანატოლებს ერთი თავით სჯობნიან და ამას მათ ჩემპიონატშიც მუდმივად ამტკიცებენ.

ერთიცაა, ჩვენ ხშირად გვალალატობს გამოუცდელობა და ასე მოხდა თურქეთში, სერბეთთან მატჩისას (7:7). ანგარიში მიგვყავდა და ერთი შეხედვით ბალკანელებს იმედი არ უნდა ჰქონოდათ. მეწყინა, რომ ის თამაში ვერ მოვიგეთ. დიდ პრობლემას ვაწყდებით მსაჯებისგანაც — ისინი მუდმივად სჯიან ჩვენი მეტოქეების შეხვედრებს, გარკვეული კონტაქტი ჩამოუყალიბდათ, ხოლო ჩვენ ვერ გვცნობენ...

**— საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეროვნული ნაკრებისკენ მიდის, რომლის შექმნას საშველი არ დაადგა. ამ ბოლო პერიოდში რეალური საუბრები ხომ არ ყოფილა?**

— რეალური არაფერი. ჯერ ჩამოვაყალიბოთ თუნდაც ერთი კლუბი, ვიშოვოთ ერთი ექიმი, რომელიც, პარადოქსია, მაგრამ არ გვყავს. თქვენ იცით, რომ უცხოეთში მოთამაშე ქართველები — ლაითაძე, ასათიანი და სხვები ნაკრებში თამაშზე ყაბულს არიან, რეზო ჩომახიძემაც განაცხადა თანხმობა. საცოდაობაა, მსოფლიოს საუკეთესო წყალბურთელი გყავდეს და თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაშის საშუალება არ ეძლეოდეს. წარმოიდგინეთ, იგივე პრობლემა რონალდოს, რაულს და ბექემს რომ ჰქონდეთ!

**— ცხადია, თავი და თავი ფინანსებია, მაგრამ წლიურად დაახლოებით რა თანხაა ნაკრებისთვის საჭირო?**

— წყალბურთი კაპიკებით ვერ დაფინანსდება. ეროვნულ გუნდს წლიურად 300-400 ათასი დოლარი სჭირდება. არის დაპირებები და იმედი მაქვს, ოსეთში მიმდინარე მოვლენების დარეგულირებისთანავე, სახელმწიფო მხარში ამოგვიდგება.

**— ამ შემთხვევაში, ალბათ, 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრაზეც იფიქრებთ...**

— თუ მყარი დაფინანსება იქნება, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ოლიმპიადაზე გასვლა. ჩომახიძე, დავითიანი, ასათიანი, ლაითაძე, რუსია, მანძულაშვილი და ახალი თაობის რამდენიმე წევრი უკვე იმის გარანტიაა, რომ ძლიერ ევროპულ ნაკრებებს მივუახლოვდეთ. ჯერ ევროპის B ჯგუფში მოგვიწევს თამაში, რის შემდეგაც A ჯგუფში გადავინაცვლებთ (აქაც იგივე სისტემაა, როგორც კალათბურთში) და პეკინში მოსახვედრად ყველაფერს გავიღებთ.

**— კი, მაგრამ B ჯგუფის შესარჩევი მატჩები გაისად იწყება და ნაკრები თუ არ გვეყოლება, ისე როგორ ვითამაშებთ?**

— საერთაშორისო ფედერაციას ნოემბერში უნდა ვამცნოთ ჩვენი მონაწილეობის სურვილი. თუ იქამდე ეროვნული ნაკრები ვერ ჩამოყალიბდება და განაცხადს ვერ გავაზავნით, კარგა ხანს უქმად დავრჩებით და დღევანდელი უნიჭიერესი თაობაც დაგვეკარგება.

*დასასრულს, სოსო მაისურაძემ განაცხადა, ევროპის წლევანდელ ჭაბუკთა ჩემპიონატზე ათეულში მოხვედრაც კარგი შედეგი იქნებაო — „საქმე ისაა, რომ დღევანდელი ნაკრების ბირთვს 17 წლის ბიჭები შეადგენენ, რომლებსაც 2 წლით უფროს მეტოქეებთან უპირობო მოგებას ვერ მოსთხოვ. აი გაისად კი სულაც მედლებისთვის ვიბრძოლებთ.“*

**ილია ნანობაშვილი**



საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ბოლო დროს მხარში მერია ამოუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

**ავსტრია 1:3 გერმანია**
0:1 კურანი (2), 1:1 ამერჰაუზერი (10), 1:2, 1:3 კურანი (60, 73)



იურგენ კლინსმანი

## კურანიმ კლინსმანს ჰეთ თრიქი მიართვა

**იურგენ კლინსმანის** სადებიუტო მატჩი კევინ კურანიმ მოიგო. ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში „შტუტგარტის“ ფორვარდმა ჰეთ თრიქი შეასრულა და გამოჩნდა, რომ გერმანიას არც ისე ურიგო თავდამსხმელები ჰყავს, როგორც ხატავდნენ.

„ბიჭებმა საუკეთესო თვისებები გამოავლინეს და მათი გარჯით კმაყოფილი ვარ. არ ველოდით, რომ გოლს ასე სწრაფად გავიტანდით“ — თქვა კლინსმანმა. გოლი კი მეორე წუთზე კურანიმ ბალაკის პასით შეაგდო, რომელმაც ავსტრიელ მცველებში გაისეირნა და ბურთი შტუტგარტელს მიართვა.

მასპინძელთა ნახევარმცველმა მარტინ ამერჰაუზერმა მალე გაათანაბრა. საჯარიმოს კუთხესთან მიიღო ბურთი და ოლივერ კანს მაღალ კუთხეში გაუტანა. ამის შემდეგ ავსტრიელები მიაწვნენ და შორიდან ურტყეს კანის კარში, მაგრამ სტუმართა დაცვამ და მეკარემ იყოჩაღეს.

შესვენების მერე კურანიმ თორმეტწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიხარა, ავსტრიელებმა კი რამდენჯერმე სცადეს შეცვლაზე შესულ იენს ლემანისთვის გატანა, თუმცა ამაოდ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჰეთთრიქოსანი კევინ კურანი (№22)

## იტალიამ აგვისტოსთან წააგო



მარჩელო ლიპი

**ისლანდია 2:0 იტალია**
1:0 გუდიონსენი (19), 2:0 ეინარსონი (20)

**მარჩელო ლიპიმ** „სკუადრა აძურას“ პირველად უხელმძღვანელა და... ისლანდიამ 2:0 მოუგო. ამ შეხვედრაში იტალიის ნაკრები ბოლო ხანს ჩვეულთან შედარებით სახეცვლილი გახლდათ. არ იყვნენ ფრანჩესკო ტოტი, ანტონიო კასანო, კრისტიან ვიერი, ფაბიო კანავარო, კრისტიანო ძანეტი და ბერნარდო კორადი — ისინი დაშავებულნი გახლდნენ. ალბერტო ჯილარდინო, ანდრეა პირლო, მატეო ფერარი და დანიელე ბონერა ათენში არიან ოლიმპიადაზე, ხოლო ალესანდრო დელ პიერო მწვრთნელმა უბრალოდ არ გამოიძახა, რადგან მისი აზრით იგი ცუდ ფორმაშია. სამაგიეროდ, იტალიელებს ჰყავდათ სამი ახალი ფეხბურთელი — ლუკა ტონი, ფრანჩესკო ფლაკი და მანუელე ბლაზი — რომლებიც სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ, მაგრამ მათგან ორმა, ტონიმ და ბლაზიმ მოგვიანებით დააჭაშნიკა ნაკრების მაისურით თამაში.

ისლანდიამ მე-17 წუთზევე გახსნა ანგარიში. ჯანლუიჯი ბუფონმა ეინარსონის დარტყმული მოიგერია, მაგრამ გუდიონსენის დამატებულის წინააღმდეგ ველარაფერი გააწყო.

იტალიელებმა მყისვე სცადეს ჩამორჩენის გამოსწორება. სტეფანო ფიორეს მახვილი კუთხით დარტყმული კრისტინსონმა გაჭირვებით მოიგერია, მაგრამ გავიდა ორად ორი წუთი და გოლი კვლავ „სკუადრა აძურას“ კარში შევარდა — მარკო მატერაცის შეცდომის გამო ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, ხოლო შემდეგ ეინარსონს ჩაუვარდა ლუკმად და მანაც მეორე გოლი შეაგდო.

მეორე ტაიმი ლიპიმ ოთხი ცვლილებით დაიწყო. ამით მან ნახევარდაცვის გაძლიერება სცადა, მაგრამ მიუხედავად გარკვეული უკეთესობისა, შედეგი ვერ მიიღო.

იყო ბოლო დროს მოდაში შემოსული ფურთხების მომენტიც: ტელეჩანაწერმა გამოამჟღავნა, რომ ჰრეიდარსონმა მიკოლის მიაფურთხა, რაც მსაჯის თვალს გამოეპარა. მიკოლიზე კი ის უნდა ითქვას, რომ რამდენჯერმე მართლაც ერთობ სახიფათოდ შეუტია მოწინააღმდეგის კარს.

მატჩის შემდეგ მარჩელო ლიპიმ განაცხადა: „ჩვენ ორი გოლი შეხვედრის იმ მონაკვეთში გაგვიტანეს, როდესაც ცუდად სულაც არ ვთამაშობდით. შეხვედრის დასაწყისში სულაც არ ვიყავით ისე სუსტები, რომ ორი გოლი გაგვეშვა, მაგრამ მოხდა ასეთი რამ და ამან, ბუნებრივია, კალაპოტიდან ამოგვაგდო. მეორე ტაიმში მაინც მოვეგეთ გონს, ოღონდ არ გაგვიმართლა და გოლი ვერ შევაგდეთ.

საინტერესოა, რომ ჩემს დიდ ტრიუმფალურ მსვლელობებს ყოველთვის წარუმატებლობით ვიწყებ, თუმცა ეს წარუმატებლობა ვერასდროს მაბრკოლებს და შედეგს მაინც ვაღწევ ხოლმე.

სამომავლოდ ძალიან დიდ მნიშვნელობას მივანიჭებ ფიზიკურ ფორმას, თუმცა დღეს, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თვალსაზრისით ბიჭებს მეტი არ შეეძლოთ. ზოგადად კი, ცხადია, აგვისტოში გამართული ერთი ამხანაგური თამაშის მიხედვით ჩემი გეგმისა და შეხედულებების შეცვლას არ ვაპირებ. ჩვენი ნაკრები პროგრესისკენ ივლის და საამისოდ ჩვენს დღევანდელ გამოცდილებას გამოვიყენებთ“.

შეხვედრას კომენტარი გაუკეთა „სკუადრა აძურასა“ და „იუვენტუსის“ მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმაც:

„ჩვენ წავაგეთ და ამისთვის ბოდიშს ვუხდით მარჩელო ლიპის, რომელსაც უკეთესი დებიუტი ეკუთვნოდა. ვფიქრობ, აგვისტოს ბრალი იყო ის, რომ ფიზიკურად ძალიან ძლიერ მოწინააღმდეგეს ვერ მოვუგეთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომდევნო მეტოქე, ნორვეგია, უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში გვხვდება და ვალდებულნი ვართ, ბევრი ვივარჯიშოთ, რათა სკანდინაველ მეტოქეებს ვაჯობოთ“.

**პაპუნა ძიდია**



ფაბრიციო მიკოლი „სკუადრა აძურას“ გოლით ვერ შეემველა

## ვან ბასტენის დაბრუნება



მარკო ვან ბასტენი

**შვედეთი 2:2 ჰოლანდია**
1:0 ჯონსონი (4), 1:1 სნეიდერი (17), 1:2 ვან ბომელი (43), 2:2 იბრაჰიმოვიჩი (69)

**მარკო ვან ბასტენის** კარიერა ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე შვედებთან ფრით დაიწყო. შეგახსენებთ, რომ შვედეთის ნაკრები ის გუნდია, რომელსაც ჰოლანდიამ ამ ცოტა ხნის წინ, ევრო 2004-ზე მოუგო და მეოთხედფინალიდან გამოთიშა. მაშინ ეს პენალტებით მოხდა, შეხვედრა 0:0 დასრულდა, ასევე დასრულდა დამატებითი დროც, ხოლო პენალტებით „ორანიემ“ 5:4 იძალა.

ორივე მხარისთვის ეს შეხვედრა მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩებისთვის მოსამზადებელი გახლდათ. შვედები მალტაში მიდიან და ეს შეიძლება კიდევ იოლ თამაშად მივიჩნიოთ, მაგრამ ჰოლანდიელებს 8 სექტემბერს არც მეტი, არც ნაკლები, ევრო 2004-ის მათსავით ნახევარფინალისტთან, ჩეხეთთან აქვთ საქმე გასარჩევი.

შეხვედრა სტოკჰოლმში გაიმართა. მასპინძლებმა მეტი რიხით დაიწყეს და მეოთხე წუთზევე გახსნეს ანგარიში: ჰოლანდიელები დაცვაში ცოტა უყურადღებოდ მოიქცნენ და ზლატან იბრაჰიმოვიჩს მატიას იონსონის ასისტენტობის საშუალება მისცეს, ხოლო იონსონმა საჯარიმოს შიგნიდან ისე დაარტყა, რომ ედვინ ვან დერ სარი ბურთს ვერ მიწვდა.

ამის შემდეგ ჰოლანდიელებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს და მე-17 წუთზე უესლი სნაიდერის შორეული დარტყმით გაათანაბრეს ანგარიში.

43-ე წუთზე „ორანიემ“ კიდევ ერთი გოლი გაიტანა და ამ შემთხვევაშიც სნაიდერმა გამოიჩინა თავი — მისი დარტყმული ბურთი შვედმა მეკარემ ანდრეას ისაკსონმა კი მოიგერია, მაგრამ მარკ ვან ბომელმა დაამატა და ახლა მასპინძლებს გაუხდათ საქმე გასათანაბრებლად. ეს მათ უკვე შესვენების შემდეგ, 69-ე წუთზე შეძლეს — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დაბალი დარტყმა იბრაჰიმოვიჩმა შეაგება.

„დასაწყისში პრობლემები გვქონდა, მაგრამ პირველი ნახევრის მიწურულს თამაში გამოვასწორეთ და ეს უკვე მეორე ტაიმშიც გადაგვყვა. დღევანდელმა შეხვედრამ უპირველეს ყოვლისა ის გვაჩვენა, რომ დაცვაში გვაქვს სამუშაო. შვედებს კი ძლიერი გუნდი ჰყავთ და მისი შებოჭვა ძნელია, რადგან გრძელ პასებს იყენებენ. მეორე ტაიმში მართლა კმაყოფილი დავრჩი“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ვან ბასტენმა.

**პაპუნა ძიდია**



ზლატან იბრაჰიმოვიჩს იტალიის ჯინი ჰირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ხრისტოს დუბლინი

**ირლანდია 1:1 ბულგარეთი**
1:0 რიდი (15), 1:1 ბოჟინოვი (70)

**ხრისტო სტოიჩკოვის** ბულგარეთმა დუბლინში ფრეს მიაღწია. ირლანდიელები „ნოტინგემ ფორესტის" ნახევარმცველის, ენდი რეიდის გოლით დაწინაურდნენ. რეიდმა დაახლოებით 35 მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაუტანა ზდრავკო ზდრავკოვს. მანამდე მასპინძელთა კაპიტნის, კენი კენინგემის შეცდომით დიმიტარ ბერბატოვმა ვერ ისარგებლა. კენინგემის პასი ბერბატოვმა ჩაჭრა და ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა.


ხრისტო სტოიჩკოვი

ირლანდიელთა გოლის შემდეგ ზდრავკოვმა კევინ კილბეინს ორჯერ არ გაატანინა. კილბეინმა ჯერ შორიდან გაისროლა, მერე კი ახლოდან თავით დაჰკრა, მაგრამ ბულგარელთა მეკარემ იყოჩაღა. მეორე ტაიმში ბრაიან კერიმ რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალა და ამით გუნდი შედარებით დასუსტდა. სტუმრებმა ნელ-ნელა თამაში გამოასწორეს. ვალერი ბოჟინოვს და ვლადიმირ მანჩევს ჰქონდათ კარგი მომენტები, თუმც ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ, ბოჟინოვმა მოგვიანებით მაინც იხერა. მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და შეი გივენს გაუტანა. მატჩის მიწურულს თითოჯერ დამიენ დაფმა და ალან ქუინმა სცადეს ბედი, მაგრამ პირველმა კარს ააცილა, მეორეს კი ზდრავკოვმა აჯობა.


ირლანდიის მიბრუნებული როი კინი ბრაიან კერიმ სკამზე გაისტუმრა

**ვაჟა ხუციშვილი**

## 0:3?! ფოგთსის უხერხული მადლობა

**შოტლანდია 0:3 უნგრეთი**
0:1, 0:2 ჰატჟი (45პ, 53), 0:3 მარშალი (73ს.გ.)

**შვიდი** წელია, გლაზგოში, „ჰემპდენ პარკზე" არ მოგვიგია და ნავსი უნდა გავტეხოთო — ამბობდა ბერტი ფოგთსი მატჩამდე, მაგრამ შოტლანდიამ 0:3 წააგო. ეს აღმოჩნდა უდიდესი ანგარიშით მარცხი ბოლო 31 წლის განმავლობაში. 1973-ში სქოთები ინგლისელებმა 5:0 გაანადგურეს. „ძალიან საწყენია, თუმც ბიჭებისთვის კარგი გაკვეთილი იქნება" — განაცხადა გერმანელმა მწვრთნელმა.

უნგრელმა ჟაბოლჩ ჰატჟიმ ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მონაგრებული საეჭვო პენალტით გახსნა. მსაჯმა ენდი ვებსტერს პეტერ კოვაჩის წაქცევა დააბრალა და თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა.


ჟაბოლჩ ჰატჟი

მეორე ნახევრის დაწყებიდან რვა წუთში კვლავ ჰატჟმა იყოჩაღა. დაახლოებით 25 მეტრიდან გაუტანა დევიდ მარშალს, მესამე კი შოტლანდიელთა მეკარეს ავტოგოლად ჩაუთვალა. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთის მოგერიება სტივენ პრესლიმ სცადა, მაგრამ ბურთი მარშალს ზურგში მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა I ჯგუფი



## წითლების აღლუმი

**რუმინეთი 2:1 ფინეთი**
1:0 მუტუ (50), 2:0 პეტრე (89), 2:1 ირი (90პ)
გაძევება: ბარკაუანი (76, რუმინეთი), ვაირინენი (83, ფინეთი)

**მიუხედავად** იმისა, რომ ტრავმის გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, ანგელ იორდანესკუს რუმინეთმა ფინელთა დამარცხება შეძლო. მასპინძლებმა პირველ ტაიმში ვერ გაიტანეს, რადგან სტუმართა მეკარე ნიეიმი ყოჩაღობდა, მაგრამ მეორე ნახევრის დაწყებიდან ხუთ წუთში ადრიან მუტუმ 22 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით ბურთი ცხრიანში შესვა.

ამ მომენტიდან ნახევარ საათში რუმინელი მცველი კოზმინ ბარჩაუანი უხეშობისთვის გააძევეს, შემდეგ კი მას ფინელი მიკა ვეირინენიც მიჰყვა. კაცნაკლულმა გუნდებმა მატჩის მიწურულს თითო გოლი გაცვალეს. დამხვდურთაგან ფლორენ პეტრემ იხეირა, ხოლო სტუმართაგან ალექსეი ერიომენკომ, რომელმაც რაზვან რატის ხელით თამაშის გამო დანიშნული პენალტი გამოიყენა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ვარდანიანის ვარდნა

**მაკედონია 3:0 სომხეთი**
1:0 პანდევი (5), 2:0 საკირი (38), 3:0 სუმულიკოსკი (90)
გაძევება: ვარდანიანი (69, სომხეთი)

**„ლაციოს"** ლეგიონერ გორან პანდევის კარგი თამაშის წყალობით მაკედონია პირველივე ტაიმში ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა. პანდევმა მეხუთე წუთზე გახსნა ანგარიში და მოგვიანებით დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ახლოდან თავით მისი დარტყმული არმენ ამბარცუმიანმა მოიგერია.

შესვენებამდე შვიდი წუთით ადრე სტუმართა მცველები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ — ორი მაკედონიელი ამბარცუმიანთან პირისპირ დარჩა და სიმულიკოსკის პასით არტიმ საკირიმ ცარიელ კარში ბურთი იოლად შეაგორა.

სომხები მეორე ტაიმში შედარებით უკეთ ათამაშდნენ და მოვსესიანმა ერთხელ ძელიც კი შეატოკა, თუმც 73-ეზე მათი კაპიტანი ვარდანიანი უხეშობისთვის გააძევეს. კაცნაკლულებმა კი ბოლოს მესამე გოლიც გაუშვეს. იგორ იანჩევსკი მეტოქე მცველებს შორის გაძვრა და სიმულიკოსკის საგოლე პასი უბოძა.


გორან პანდევი

**ვაჟა ხუციშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. III ჯგუფი



კრისტენ ვიიკმაე

# ერთი დელია რას გიშველის

**ლიხტენშტაინი 1:2 ესტონეთი**

**0:1 ვიიკმაე (31), 1:1 დელია (48), 1:2 ლინდპერე (80)**

**გაძევება: რიტერი (24, ლიხტენშტაინი), გერსტერი (90, ლიხტენშტაინი)**

**ჯერ ლიხტენშტაინის** ნაკრები რაა და პირველივე ტაიმში კაცს რომ გაუძევებენ, რაღა დარჩებოდა, თუმცა ათკაცა მასპინძლებმა კრისტენ ვიიკმაეს გოლიც გაქვითეს და კინაღამ ფრესაც გამოჰკრეს ხელი. დამხვდურთა მცველი კრისტოფერ რიტერი მსაჯმა უხეშობისთვის გააგდო ამ ეპიზოდიდან შვიდ წუთში, რაიო პიიროიამ დაახლოებით 60 მეტრი იარა, სამი მცველი ჩამოიტოვა და კრისტენ ვიიკმაეს საგოლე პასი მიართვა. მეორე ნახევრის დასაწყისში ლიხტენშტაინელმა ფაბიო დელიამ სტუმართა მეკარის შეცდომით ისარგებლა, რომელმაც ბურთი უშნოდ მოიგერია და გაათანაბრა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ლინდპერემ ესტონელთა გამარჯვების გოლი შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნაშმების მოყვარულები

**სლოვაკეთი 3:1 ლუქსემბურგი**

**0:1 შტრასერი (2), 1:1 ვიტეკი (25), 2:1 გრეშკო (48), 3:1 დემო (90)**

**ლუქსემბურგი**, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ბოლო 55 მატჩიდან ერთიც კი არ მოუგია, ბრატისლავაში მოულოდნელად მეორე წუთზე დაწინაურდა. გოლი სტუმართა ერთადერთმა პროფესიონალმა ფეხბურთელმა, მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ლეგიონერმა ჯეფ შტრასერმა თავური დარტყმით გაიტანა. მასპინძლებმა ტაიმის შუაში რობერტ ვიტეკის წყალობით გაქვითეს, თუმცა შესვენებამდე თამაში თანაბარი იყო.

მეორე ნახევრის დასაწყისში ვლასტისლავ გრეშკომ სლოვაკები ახლოდან გატანილით წინ გაიყვანა. შტრასერის თანაგუნდელმა ნამატჩევს თქვა: „გაცილებით ძნელია თამაში, როცა იოლ გამარჯვებას ელი“. ლუქსემბურგელთა თავკაცმა ალან სიმონსენმა კი განაცხადა: „პროფესიონალ და მოყვარულ ფეხბურთელებს შორის სხვაობა აშკარა იყო და შედეგიც ლოგიკურია“.



რობერტ ვიტეკი

# რა დაცვა გვყოლია!

**„მილანის“** ვარსკვლავმა, ბრაზილიელმა ფორვარდმა კაკამ სეზონისწინა მზადებისას აღმოაჩინა, რომ მისი გუნდის დაცვა მნიშვნელოვნად გაძლიერებულა. მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს „შავ-წითლებმა“ „ლაციოსგან“ ჰოლანდიელი იაპ სტამი იყიდეს და ეს ყველაფერი კაკამ ვარჯიშისას საკუთარ ტყავზე იწვნია.

„ვარჯიშზე ბევრი ვცადეთ ჩვენი მცველები წნეხში მოგვექცია, მაგრამ რაც უფრო მეტს ვცდილობდით, მით მეტად ვრწმუნდებოდით, რომ ისინი ძალიან ძლიერები არიან — განაცხადა ფრიად ნაქებმა და პოპულარულმა ბრაზილიელმა — ეს კი ჩვენი თამაშისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იქნება. ყველაზე დიდად ასეთი დაცვა ხელს ჩვენ, შეტევაზე ორიენტირებულ ფეხბურთელებს შეგვიწყობს. წარმოიდგინეთ, რამხელა ბედნიერებაა, ჩვენ შევუტევთ იმ ცოდნით, რომ ზურგს საიმედო ფეხბურთელები გვიმაგრებენ“.

იაპ სტამი შეუერთდა ისეთ მცველებს, როგორებიც არიან პაოლო მალდინი, კაფუ, ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო და მათთან ერთად ქართველი კახა კალაძეც.

„სეზონის წარმატებით დაწყება, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია —დასძინა კაკამ — ამიტომაც მინდა ამ უქმეებზე „ლაციოს“ იტალიის სუპერთასი მოვუგოთ.

**ბაპუნა ძედია**



კაკამ სტამი დააფასა

*გავრცელებული ჭორების თუ სიმართლის მიხედვით, ენდი ვან დერ მეიდე და კილი გონსალესი ინგლისური პრემიერლიგისკენ მიეშურებიან. ისინი, მოგეხსენებათ, „ინტერის“ ფეხბურთელები გახლავან, რომლებზეც სულ ლაპარაკობენ, რომ „სან სიროს“ დატოვებას აპირებენ*

# წადით, რათა მოვიდნენ

ჰოლანდიელი ვან დერ მეიდე, მთელი წლის განმავლობაში გვარიანად ჯახირობდა და იშვიათად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში. ის გასულ ზაფხულს იტალიაში „აიაქსიდან“ გადავიდა, ახლა კი „ევერტონი“ 3,5 მილიონ ინგლისურ გირვანქას იხდის და, ალბათ, იქით გაეშურება.

გასულ ზაფხულს გადავიდა „ინტერში“ „ვალენსიადან“ არგენტინელი კილიც და მასაც გაუძნელდა სერია A-სთან შეგუება. არგენტინელს ამჯერად ათენში, ოლიმპიადაზეა — „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ეპატიჟება. იტალიური გაზეთები წერენ, რომ ერთსაც და მეორესაც უახლოეს ხანს გაყიდიან, რადგან „ინტერის“ ახალ მწვრთნელს, რობერტო მანჩინის სასურველი ფეხბურთელების მოზიდვა ჯერ არ დაუსრულებია, ერთი მოთამაშის გაყიდვა კი ხშირად მეორეს შესაძენი ფულის შოვნას ნიშნავს.

მანჩინის ანკესს შესაძლოა წამოეგონ „ლაციოს“ ვარსკვლავი სეზარი, უდინელი ჩეხი მარეკ იანკულოვსკი, იუვენტუსელი მაურო კამორანეზი და როდრიგო ტადეი „სიენადან“.

**ბაპუნა ძედია**




**გერმანული** „ბაიერნის“ ნახევარმცველ იენს იერემისს მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. მიუხედავად ამისა, იგი საკმაოდ მალე, დაახლოებით ერთ თვეში დაუბრუნდება მინდორს. 30 წლის ფეხბურთელმა ეს ტრავმა ბუნდესლიგის პირველ ტურში „ჰამბურგის“ წინააღმდეგ თამაშისას მიიღო. „მშვიდად ვარ, რადგან უკიდურეს შემთხვევაში, იერემისი სექტემბერში დაგვიბრუნდება. მთავარი ბრძოლებიც სწორედ მაშინ იწყება“ — თქვა მიუნხენელთა თავკაცმა ფელიქს მაგათმა.

**ინგლისურმა** „სიტიმ“ ჰოლანდიის ნაკრებისა და პსვ-ს ყოფილი კარის დარაჯი როლანდ ვატერეუსი გადაიბირა. მანჩესტერელებმა 33 წლის გოლკიპერის დამატება მას მერე გადაწყვიტეს, რაც დევიდ ჯეიმსის ბელგიელი დუბლიორი გერტ დე ფლიგერი სერიოზულად დაშავდა და ერთი წელი უქმობა მოუწევს. გარდა ამისა, „სიტი“ სავარაუდოდ ვეტერანი ფრანგით, მარსელ დესაითაც გაძლიერდება. 36 წლის ფეხბურთელმა ინგლისელთა წინადადების ასაწონ-დასაწონად ცოტა დრო ითხოვა, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, იგი თანახმაა, კარიერა „ნისლიან ალბიონზე“ გააგრძელოს.

**ბურკინა-ფასოსა** და ფრანგული „რენის“ მცველი ამადუ კულიბალი მომავალი 18 თვის მანძილზე ფიფას ეგიდით გამართულ მატჩებში ვერ ითამაშებს. დისკვალიფიკაციის გარდა ფეხბურთელი 10 ათასი შვეიცარული ფრანკითაც დაჯარიმდა. კულიბალიმ ეს სასჯელი ბურკინა-ფასოსა და კონგოს მატჩისას მსაჯის შეფურთხებისთვის მიიღო.

**ესტონეთის** ნაკრებისა და მოსკოვის „ტორპედოს“ მცველი ანდრეი სტეპანოვი საკმაოდ დიდი ხნით ჩამოშორდა ფეხბურთს. მან ლიხტენშტაინისა და ესტონეთის შეხვედრისთვის მზადებისას უწყინარ სიტუაციაში ფეხი მოიტეხა. „ერთ ეპიზოდში მთელი სხეულის დატვირთვა მკვეთრად მარცხენა ფეხზე გადავიტანე და უცნაური ხმაც გავიგე. მივხვდი, რომ რაღაც სერიოზული მოხდა“ — თქვა ფეხბურთელმა.

# სარბიელი & კრონო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
